

განმარტებითი ბარათი

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“

საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში შემოვიდა შპს „გოგოჭური და კომპანიის“ წერილები (კომისიაში რეგისტრაცია №965/01 04.02.2020 და №1135/01 07.02.2020) ბუნებრივი გაზის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების დადგენის მოთხოვნით.

იმის გათვალისწინებით, რომ „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჭიროა დაწესებული იქნას საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, 2020 წლის 28 თებერვლის საჯარო სხდომაზე კომისიამ განიხილა საკითხი 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწესების შესახებ.

კომისიის 2020 წლის 28 თებერვლის №20/27 გადაწყვეტილების თანახმად, დადგენილების პროექტის შესახებ მოსაზრებების წარმოდგენის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 30 მარტი, ხოლო დადგენილების გამოცემის ბოლო ვადად - 2020 წლის 31 ივლისი.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს კომისიის ბიუჯეტის ხარჯვითი და საშემოსავლო ნაწილის ცვლილებებს.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის პირველ იანვრამდე.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.